# ტურიზმის ზეგავლენა საკვანძო სახეობების პოპულაციებზე ლაგოდეხის დაცულ ტერიტორიებში

**დავითი კობახიძე**

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და საინჟინრო ფაკულტეტზე ეკოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად*

სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებათა სამაგისტრო პროგრამა

ეკოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფესორი ზურაბ გურიელიძე

თანახელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი ირაკლი მაჭარაშვილი

**ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი**

**თბილისი, 2018**

## აბსტრაქტი

დაცულ ტერიტორიებზე ვიზიტორთა რაოდენობის მასშტაბურმა ზრდამ, შესაძლოა უარყოფითი ზეგავლენა იქონიოს ბიომრავალფეროვნებაზე. წარმოდგენილ კვლევაში განხილულია ტურიზმის ზეგავლენა საკვანძო სახეობებზე ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების მაგალითზე. საკვანძო სახეობად შეირჩა კეთილშობილი ირემი *(Cervus elaphus)* და მურა დათვი *(Ursus arctos).* კვლევისთვის ძირითად მასალას წარმოადგენს ლაგოდეხის დაცულ ტერიტორიებში 2012 წლიდან 2017 წლის ჩათვლით ფოტო მახეების მონაცემები და ვიზიტორთა სტატისტიკა, რომლებიც დამუშავდა სხვადასხვა სტატისტიკური მეთოდებით.

შედეგად მივიღეთ ფოტო მახის მიერ 997-ჯერ დაფიქსირებული საკვანძო სახეობის ინდივიდი, დროის განსხვავებულ მონაკვეთებში, ასევე განსხვავდებოდა ვიზიტორთა რაოდენობა დაცულ ტერიტორიებზე. როდესაც ვიზიტორების რაოდენობა მაღალი იყო, დღის საათებში ირმებს და დათვებს ფოტო მახეები იშვიათად აფიქსირებდა, ისინი ძირითადად ღამის საათებში ფიქსირდებოდნენ. ხოლო, ტურისტულად არააქტიურ პერიოდში ირმებისა და დათვების დაფიქსირება ფოტო მახეების მიერ დღის და ღამის მონაკვეთში თითქმის თანაბარი იყო. კვლევის შედეგად შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ვიზიტორების დიდი რაოდენობა აფრთხობს და აწუხებს ირმის და დათვის პოპულაციებს, რის გამოც შესაძლოა ირმების და დათვების პოპულაციის გარკვეულმა ნაწილმა თავი მათთვის არაკომფორტულ, მაგრამ უსაფრთხო ჰაბიტატს შეაფაროს.

## მადლობა

მადლობას ვუხდი სამაგისტრო ნაშრომის მომზადებაში გაწეული დახმარებისა და ინფორმაციის მოწოდებისთვის:

ჩემი სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელებს - ბატონ ზურაბ გურიელიძეს და ბატონ ირაკლი მაჭარაშვილს.

განსაკუთრებით დიდ მადლობას ვუხდი ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის დირექტორს ბატონ გიორგი სულამანიძეს.

ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციას.

სსიპ - დაცული ტერიტორიების სააგენტოს დაგეგმვისა და განვითარების სამსახურის თანამშრომლებს.

სსიპ - დაცული ტერიტორიების სააგენტოს.

საველე გასვლის თანამგზავრებს - ნიკა ქერდიყოშვილის, ლევან ნინუას, ლუკა ტყემალაძეს.

ნაშრომში გამოყენებულია მწვანე ალტერნატივას პროექტის „ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის სისტემის განვითარება დაცული ტერიტორიების შესაფასებლად“ მასალები, რომელიც მიმდინარეობს Global Forest Watch (GFW) მხარდაჭერით.